იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

5 ნოემბერი 2023 წელი

ერთი მხრივ, **შპს „ონლაინ მოლი“ (ს/კ 404543561),** წარმოდგენილი მისი დირექტორის ოთარ წურწუმიას (პნ 01018004007) სახით **(შემდგომში “მოიჯარე ”)**

მეორე მხრივ, **შპს „ლისი რენთალს“ (ს/კ 405367990),** წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ფიჩხაიას სახით, **(შემდგომში “მეიჯარე”),** მოქმედებენ რა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებას (შემდგომში “ხელშეკრულება”) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე თავისი სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად დროებით სარგებლობაში იჯარით იღებს შემდეგ უძრავ ქონებას (შემდგომში - „იჯარის საგანი“): **მდებარე ქ. თბილისი, ნეკერჩხლის ქ. N2, კომერციული ფართი N4, ს/კ: 01.10.18.006.198.01.01.004, აღნიშნული საკადასტრო კოდიდან 58 კვ.მ ფართი.**

1.2. მოიჯარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად იჯარის საგნით სარგებლობის უფლება გულისხმობს იჯარის საგნით თავისუფალი და უწყვეტი სარგებლობის უფლებას მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის გამოსაყენებლად, რაც მოიცავს მოიჯარისათვის უფლების მინიჭებას, რათა ამ უკანასკნელმა ისარგებლოს იჯარის საგნით და მასთან მისასვლელებით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ მოიჯარე უფლებამოსილია იჯარის საგანი გამოიყენოს შემდეგი ტიპის საქმიანობისათვის:

- **იჯარით გადაცემულ ტერიტორიაზე მაღაზია „ვიშლისტის” გახსნა და ოპერირება.**

1.3. მოიჯარეს არ აქვს უფლება გამოიყენოს ფართი ნებისმიერი სხვა მიზნით, მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მეიჯარე უფლებამოსილია:

2.1.1. მოითხოვოს მოიჯარისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

2.1.2. მოითხოვოს მოიჯარის ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, იყენებს იჯარის საგანს ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის ან აზიანებს მას;

2.1.3. შევიდეს იჯარით გაცემულ ფართში, რათა მოახდინოს მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების (მაგ. ფართის მიზნობრივი გამოყენების) შესრულების შემოწმება;

2.1.4. მოიჯარის ან მისი კლიენტების მიერ იჯარის საგნის ნებისმიერი გაუარესების შემთხვევაში, მოსთხოვოს ქონების აღდგენა ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება და იმ მდგომარეობაში მოყვანა, რა მდგომარეობაშიც მოიჯარეს გადაეცა იჯარის საგანი თავდაპირველად.

2.1.6. გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული სხვა უფლებები.

2.2. მეიჯარე ვალდებულია:

2.2.1. საიჯარო ქონებაში მოიჯარის მიერ მოსაწყობი სველი წერტილისთვის განახორციელოს კომუნიკაციების მიყვანა და საკანალიზაციო დგარის მოწყობა, ასევე სახანძრო სისტემის გამართვა და სახანძრო პანელის მოწყობა და ასეთ მდგომარეობაში გადასცეს მოიჯარეს საიჯარო ქონება, რის შემდეგაც დაიწყება საიჯარო ქირის ათვლა. მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს გადასცეს საიჯარო ფართი არაუგვიანეს 2023 წლის 20 ნოემბრისა.

2.2.2. მოიჯარე ინფორმირებულია, რომ მეიჯარე სამომავლოდ გეგმავს საიჯარო ფართის საკადასტრო კოდზე (**01.10.18.006.198.01.01.004**) არსებულ მეორე მოიჯარესთან (სუპერმარკეტ კარფურთან) გასამოჯნი კედლის ამოშენებას, რის შედეგადაც გაიზრდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქონების ფართობი და ნაცვლად 58 კვ.მ.-ისა განისაზღვრება დაახლოვებით 88,50 კვ.მ. და შესაბამისად გაიზრდება მოიჯარის მიერ გადასახდელი საიჯარო ქირის ოდენობა, რაზეც მოიჯარე აცხადებს თანხმობას. კერძოდ, მოიჯარე გაზრდილი ფართის შესაბამის ქირას გადაიხდის, როგორც კი მეიჯარე უზრუნველყოფს გაზრდილი ფართის მოიჯარისთვის ფაქტობრივ მფლობლობაში გადაცემას. გაზრდილი ქირის ოდენობა განისაზღვრება ფაქტობრივად გაზრდილი ფართობის შესაბამისად.

2.2.3.დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების სხვა პირობები.

2.3. მოიჯარე უფლებამოსილია:

2.3.1. მეიჯარისგან მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება;

2.3.2. იჯარის საგნის შიდა ტერიტორიაზე განათავსოს მის ან მასთან დაკავშირებული პირების საქმიანობის საგანთან დაკავშირებული სარეკლამო მასალები.

2.3.3. გამოიყენოს ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული სხვა უფლებები.

2.4. მოიჯარე ვალდებულია:

2.4.1. უზრუნველყოს საიჯარო გადასახადის გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად;

2.4.2. საიჯარო ქონებაში ჩაატაროს რემონტი მეიჯარესთან შეთანხმებით და იჯარის საგანი გამოიყენოს მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის და არ დაუშვას იჯარის საგნის ფუნქციის შეცვლა მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

2.4.3. განახორციელოს იჯარის საგნის მოვლა-პატრონობა, იქონიოს იგი სრულ წესრიგში და იჯარის საგანთან მიმართებაში დაიცვას ტექნიკური ექსპლუატაციის, სანიტარულ-ჰიგიენური, უსაფრთხოების (მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო, შრომის უსაფრთხოების და ა.შ.) წესები და ნორმები, აგრეთვე მოწყობილობების და ინვენტარის, საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლუატაციის წესები. აღნიშნული წესების დარღვევის გამო დაკისრებულ ნებისმიერ ჯარიმაზე/ გაფრთხილებაზე/ სანქციაზე პასუხისმგებელია მოიჯარე, მათ შორის მეიჯარისათვის, როგორც ფართი მესაკუთრისთვის, დაკისრებულ ჯარიმაზე (რეგრესის წესით).
2.4.4. მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იჯარის საგნის დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად, ხოლო მოიჯარის ან მისი კლიენტის მიერ გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას იგი თავისი ხარჯებით.
2.4.5. იჯარის საგნის მნიშვნელოვანი სახე-ცვლილება (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოები) შეათანხმოს მეიჯარესთან;
2.4.6. გადაუხადოს მეიჯარეს პირგასამტეხლო ყოველთვიური საიჯარო ქირის 0.1% ოდენობით საიჯარო გადასახადის გადახდის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
2.4.7. მოიჯარე კისრულობს პასუხისმგებლობას ყველა იმ ჯარიმაზე, სანქციაზე ან ზიანის ანაზღაურებაზე, რაც შესაძლოა დაეკისროს/ მიადგეს მეიჯარეს მოიჯარის ბრალით ან/და მის მიერ საქმიანობის წარმართვის გამო.
2.4.8. მოიჯარე ვალდებულია დამოუკიდებლად გადაიხადოს შესაბამისი მომწოდებლის მიერ მოწოდებული ტელეფონის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლისა და სხვა კომუნალური მომსახურების გადასახადები.
2.4.9. მოიჯარე არ არის უფლებამოსილი იჯარის საგანი გამოიყენოს არამიზნობრივად, გასცეს ქვეიჯარით, განათავსოს იჯარის საგანზე რაიმე სახის აბრა, რეკლამა, ბანერი ან იჯარის საგნის იერსახე შეცვალოს რაიმე ფორმით, მეიჯარესთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე.
2.4.10. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

3. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი

3.1. ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს: 1 კვ.მ.-ზე შეადგენს **30 აშშ დოლარს,** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით, გადახდის დღეს არსებული ოფიციალური ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მოიჯარე ვალდებულია ზემოაღნიშნული საიჯარო ქირა მეიჯარეს გადაუხადოს არაუგვიანეს ყოველი მომდევნო სამეურვეო თვის 15 რიცხვამდე.
3.3. საიჯარო ქირის ათვლა დაიწყება მეიჯარის მიერ 2.2.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების თარიღიდან, კერძოდ 2023 წლის 20 ნოემბრიდან.
3.4. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, მოიჯარე ვალდებულია წინასწარ ჩაურიცხოს მეიჯარეს 2 თვის საიჯარო ქირა დეპოზიტის სახით (1 კვ.მ-ზე 25 აშშ დოლარი), რომელიც ჩაითვლება ბოლო ორი თვის საიჯარო ქირის ანგარიშში (შესაბამისი გაზრდილი ქირის თანხის გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3.5. მოიჯარისთვის ცნობილია, რომ მეიჯარის მიერ შესაძლებელია გაიზარდოს საიჯარო ქონების ფართობი და შესაბამისად საიჯარო ქირა, წინამდებარე ხელშეკრულების 2.2.2. პუნქტის შესაბამისად, რაზეც იგი წინასწარ აცხადებს სრულ და უპირობო თანხმობას.
3.6. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეიჯარის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე, თუმცა საიჯარო ურთიერთობის ვადის ათვლა დაიწყება მეიჯარის მიერ 2.2.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების თარიღიდან და იმოქმედებს 11 თვის ვადით.
4.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, მხარეები ახლიდან შეთანხმებიდან ხელშეკრულების გაგრძლებისა და განახლებული საიჯარო ქირის საკითხზე.
4.3. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:
4.3.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;
4.3.2. მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში.
4.3.3. მეიჯარე უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:
4.3.3.1. მოიჯარეს მხრიდან ადგილი აქვს საიჯარო ქირის გადახდის 30 დღიან ვადაგადაცილებას.
4.3.3.2. მოიჯარის მხრიდან იჯარის საგნის გამოყენება ხდება არამიზნობრივად/ ხდება იჯარის საგნის დაზიანება/ ან მოიჯარე უხეშად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.
4.4. მეიჯარე უფლებამოსილია 4.3.3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოიჯარეს გაუგზავნოს ცალმხრივი წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, რომელსაც ექნება სავალდებულო ძალა მოიჯარისათვის და იგი ვალდებული იქნება დაუბრუნოს მეიჯარეს საიჯარო ქონება 4.7 მუხლით გათვალისწინებულ მდგომარეობაში.
4.6. მოიჯარე უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოშალოს წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება მეიჯარის წინასწარ 3 (სამი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი გაფრთხილებს საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ საიჯარო ფართში მოწყობილი სავაჭრო ობიექტი (მაღაზია) წავა წაგებაზე, რაც დასტურდება მოიჯარის შპს „ონლაინ მოლის“ მოგება-ზარალის უწყისით.

4.7. მოიჯარის მიერ ცალმხრივად ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ან მეიჯარის მიერ 4.3.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას, მეიჯარე უფლებამოსილია საკუთრებაში დაიტოვოს მოიჯარის მიერ გადახდილი დეპოზიტი სრულად.
4.8. ნებისმიერი საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს დაუბრუნოს იჯარის საგანი იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ჩაიბარა მეიჯარისაგან, ბუნებრივი ცვეთის, ამორტიზაციისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით. იჯარის საგნის დაბრუნებამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად გავრცელდება მხარეებზე.

5. სარემონტო სამუშაოები

5.1. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარეს სურს იჯარის საგანზე ჩაატაროს არსებითი ხასიათის სარემონტო სამუშაოები, და/ან იჯარის საგანს მნიშვნელოვნად შეუცვალოს სახე (რაც გულისხმობს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს, იჯარის საგნის მყარი კონსტრუქციების მნიშვნელოვან სახეცვლილებას და/ან იჯარის საგნის გარეგნული იერსახის შეცვლას), მოიჯარე ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს მეიჯარესთან ამგვარი არსებითი ხასიათის რემონტი ან სახეცვლილება.
5.2. სარემონტო სამუშაოების შეთანხმების შემდეგ მოიჯარე (და/ან მისი ქვეკონტრაქტორი) იჯარის საგანზე საკუთარი ხარჯით (შემდგომში - სარემონტო ხარჯები) ჩაატარებს სარემონტო სამუშაოებს;
5.3. მოიჯარე იტოვებს სრულ უფლებას მის მიერ იჯარის საგანზე დამონტაჟებულ ნებისმიერ მოწყობილობაზე, დანადგარზე და სხვა ნივთებზე, რომლის მოხსნა და თან წაღებაც მას სურს ხელშეკრულების ვადის გასვლის ან მისი შეწყვეტის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში, მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მოწყობილობა-დანადგარებისა და სხვა ნივთების გატანა იჯარის საგნიდან მოხდეს იჯარის საგნის დაზიანების გარეშე, ან იჯარის საგნის მეიჯარისათვის დაბრუნებამდე უნდა აღმოფხვრას აღნიშნული დაზიანებები.

6. ფორს-მაჟორული გარემოება

6.1. ხელშეკრულებაში გამოყენებული მნიშვნელობით, ტერმინი ფორს-მაჟორული გარემოება გულისხმობს შემდეგი გარემოების არსებობას (რომელიც უშუალო ზეგავლენას უნდა ახდენდეს შესაბამისი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებაზე):
6.2. ხანძარი და აფეთქება (გარდა იმ შემთხვევისა, რაც გამოწვეულია რომელიმე მხარის მიერ), სტიქიური უბედურება;
6.3. სამხედრო მოქმედებები, აჯანყებები, არეულობები, სამოქალაქო ომები და მღელვარებები, საგანგებო მდგომარეობა; პანდემია, პანდემიის წინარე მდგომარეობა, ეპიდემია, კომენდანტის საათის გამოცხადება და ა.შ.
6.4. საკანონმდებლო აქტის გამოცემა, რომელიც კრძალავს იმ საქმიანობის განხორციელებას, რასაც ახორციელებს ხელშეკრულების რომელიმე მხარე;
6.5. მხარეთა კონტროლს დაუქვემდებარებელი ნებისმიერი სხვა გარემოება. ამასთან, ეს გარემოებები მხოლოდ მაშინ მიიჩნევა ფორს-მაჟორულ გარემოებად, თუ ისინი პირდაპირ გავლენას ახდენენ მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
6.6. იჯარის საგანთან ან მის მნიშვნელოვან ნაწილთან დაკავშირებული ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს რომელიმე მხარის მიერ მისი ვალდებულების შესრულების, ან უფლების განხორციელების შეუძლებლობას, მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ფორს-მაჟორული გარემოების ზემოქმედების გამო, ვალდებულია ასეთი გარემოების დადგომისთანავე აცნობოს სხვა მხარეებს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის თაობაზე და ასეთ შემთხვევაში, მის მიერ ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების ვადით. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის და ამის გამო იჯარის საგნის გამოყენების შეუძლებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში საიჯარო გადასახადი (ან საიჯარო გადასახადის შესაბამისი ნაწილი, თუკი ფორს-მაჟორული გარემოება ეხება მხოლოდ იჯარის საგნის რომელიმე ნაწილს) ექვემდებარება გადახდას მოიჯარის მიერ.
6.7. თუ ფორს-მაჟორული გარემოების ზემოქმედება გრძელდება 90 (ოთხმოცდაათი) დღეზე მეტ ხანს, ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ამ შემთხვევაში თითოეული მხარე ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს შეწყვეტამდე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულება.

7. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

7.1. მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:
7.1.1. რეგისტრირებულნი არიან საქართველოში მოქმედ კანონმებლობასთან სრულ შესაბამისობაში;
7.1.2. აქვთ სრული უფლებამოსილება ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას;
7.1.3. ხელშეკრულების ხელმოწერით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებით არ არღვევენ და/ან არ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, საკუთარ წესდებას და/ან სხვა ნებისმიერ მარეგულირებელ დოკუმენტს.
7.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ იცნობენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

8. დავების გადაწყვეტა

8.1. ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
8.2. მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რათა მოლაპარაკების გზით გადაჭრილი იქნას ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებიდან გამომდინარე;
8.3. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლო.

8.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

9. ზოგადი დებულებები

9.1. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას მეორე (არადამრღვევი) მხარის უფლებაზე ხელშეკრულების შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით;

9.2. ხელშეკრულება, მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება მხარეთა შესაბამის სამართალმემკვიდრე(ებ)სა და უფლებამონაცვლე(ებ)ზე;

9.3. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი;

9.4. ხელშეკრულებაში (და/ან დანართ(ებ)ში) ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.

9.5. ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება, თუ სხვა ხელშეკრულება;

9.6. ხელშეკრულება აუქმებს მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ და ხელშეკრულების ხელმოწერამდე მიღწეულ ყველა სახის შეთანხმებას, დამოუკიდებლად მისი ფორმისა.

9.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

9.8. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეტყობინებები და სხვა კომუნიკაციები უნდა ჩაბარდეს მხარეთა მისამართებზე, ასევე, კომუნიკაცია შესაძლებელია მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართების მეშვეობით და აღნიშნულ მიმოწერას ენიჭება მატერიალური კორესპონდენციის იდენტური იურიდიული ძალა. ამასთან, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეეხება მხარეების რეკვიზიტებს, სხვა მხარე(ებ)ს უნდა ეცნობოთ ამგვარი ცვლილებიდან 3 (სამი) დღის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული წესი არ იქნება დაცული მხარის მიერ, და სხვა მხარე(ებ)ს არა აქვს მიღებული შესაბამისი შეტყობინება რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე, გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

10.1. მეიჯარე	10.2. მოიჯარე
შპს „ლისი რენთალს“ ს/კ 405367990 მის.: ქ. თბილისი, საბურთალო, ნეკერჩხლის ქუჩა N6 ელ.ფოსტა: akaki@lisi.ge ტელ.: 577 323 266 საბანკო რეკვიზიტები: ბანკი: სს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE90TB7070136080100013	შპს „ონლაინ მოლი“ ს/კ 404543561 მის: ქ. თბილისი, ვასილ ბარნოვი-თარხნიშვილის 29/49 ელ.ფოსტა: m.dolidze@wishlist.ge ტელ: 555 00 01 13; 0322 05 13 31
დირექტორი ზურაბ ფიჩხაია	დირექტორი ოთარ წურწუმია

#011031

ლისი
დეველოპმენტი

ვის: ქ.თბილისის მერიას

ვისგან: შპს „ლისი რენთალს“

ქ. თბილისი

26 დეკემბერი, 2023 წ.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

გაცნობებთ, რომ შპს „ლისი რენთალს“ (ს/კ 405367990), როგორც 01.10.18.006.198.01.01.004 საკადასტრო კოდზე განთავსებული უძრავი ქონების მესაკუთრე, თანახმაა ქ.თბილისის მერიის შესაბამის სამსახურში შეთანხმებულ იქნას აბრის განთავსების პროექტი (I კლასი), განაცხადის ნომრით AR11000224.

შპს „ლისი რენთალს“
(ს/კ 405367990)
დირექტორი
ზურაბ ფიჩხაია
(პ/ნ 01004009017)

ნეკერჩხლის ქუჩა #6, თბილისი 0159
tbi@lisi.ge / www.lisi.ge
ტელ: (+995) 322 00 27 27